საბჭოთა მეცნიერების უდიდესი გამარჯვება

ფელიეტონი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრკ ც. კ. კ. (ბ) ცენტრ. და თბ. კომიტეტების და სსრ. ცენტრ. ალკის ორგანო

ტელეფონები ხასი: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—88—17, სამდივნოსი 10—58, მეო. კანტორის—8—81.

3 ოქტომბერი 1933 წ. № 228 (3784)

F75/840
F75/3 №1612

საბჭ. მფრინავებმა დაამყარეს სტრატოსფერული რაში აფრენის ახალი მსოფლიო რეკორდი

სტრატოსტატი „ს.ს.რ.კ.“ აფრინდა 19 კილომეტრის სიმაღლეზე

სტრატოსტატ „ს.ს.რ.კ. გაფრენა

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. 30 სექტემბერს, 8 საათსა და 40 წუთზე გაფრინდა სტრატოსტატი „სსრკ“. სტარტიდან 5 წუთის შემდეგ პილოტ გრინბაუმმა რადიოთი გადასცა სიმაღლე სამი კილომეტრი.

9 საათზე სიმაღლე — ექვსი კილომეტრი. 9 საათსა და 5 წუთზე სიმაღლე — 10 კილომეტრი, ტემპერატურა გარეთ—მინუს 55 გრად. ცელსიუსით.

9 საათსა და 25 წუთზე სიმაღლე 17.200 მეტრი, ტემპერატურა გარეთ—მინუს 54, ტემპერატურა კაბინის შიგნით ნორმალურია.

12 საათსა და 13 წუთზე სიმაღლე—18.400 მეტრი. სტრატოსტატის ეკიპაჟმა მისასალმებელი რადიოგრამა გადასცა ქარხანა „კაუჩუკის“, მენყონსკის სახელობის № 39 ქარხნის, რეზინოტრესტის, მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის და სტრატოსტატის აგების, ბიუროს — სტრატოსტატ „ს. ს. რ. კ.“ მშენებლებს.

მიაღწია რა 12 საათსა და 50 წუთზე ზღვარულ სიმაღლეს — 19 კილომეტრს, სტრატოსტატის კომანდა ამხ. სტალინს, ვოროშილოვს და მოლოტოვს უგზავნის პატაკს, რომელშიაც საბჭოთა პირველი სტრატოსტატის ეკიპაჟი მოახსენებს მათ: წარმატებით შევასრულეთ დასახული ამოცანა, წარმატებით ავფრინდით 19 ათასი მეტრის სიმაღლეზეო. ეკიპაჟი მზად არის განაგრძოს მუშაობა სტრატოსფერის დაუფლებისათვის.

17 საათზე სტრატოსტატი „სსრკ“ დაეშვა კოლომნაში, კოლომნის ქარხნიდან 1/4 კილომეტრის მანძილზე. დაშვება კარგად ჩატარდა. სტრატოსტატის კომანდა ჯანსაღადაა. (ტას).

პროფესორი იოფე სტრატოსფერაში გაფრენის შესახებ

ლენინგრადი, 1 ოქტომბერი. რუსეთის დეპეშათა საგენტოს თანამშრომელთან საუბარში პროფესორმა იოფემ განაცხადა:

„ოქტომბრის 16 წლისთავის ზღურბლზე საბჭოთა მეცნიერებამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. სტრატოსფერა დაძლეულია სტრატორტატით, რომელიც დამზადებულია საბჭოთა მასალისაგან. მიღწეულია სიმაღლე 19 კილომეტრი.

მე განცვიფრებული ვარ სტრატოსტატის ხელმძღვანელთა უჩვეულო გამძლეობით და იმ მკაფიობით, რომლებმაც შეასრულეს ამოცანა თითქმის ზუსტი განრიგის მიხედვით. ჩვენ ყველანი უნდა ვამაყობდეთ საბჭოთა ჰაერონავტების და საბჭოთა მეცნიერების ამ დღესასწაულით“. (ადს).

საბჭოთა კავშირმა სასახელო ფურცელი ჩასწერა

გუნების საიდუმლოებათა გამოცნობისათვის კაცობრიობის ბრძოლის ისტორიაში

პარიზი, 1 ოქტომბერი. მთელი პრესა იუწყება საბჭოთა სტრატოსტატის წარმატებით დაშვების ამბავს. „ევრი“ სწერს: სტრატოსტატის გაფრენამ ცხადყო, რომ ხუთწლედის შესრულებამ მართლაც შესაძლებელობა მისცა საბჭოთა კავშირს დაეწიოს და გაუსწროს კაპიტალისტურ ქვეყნებსო, გაზეთი დასცინის რეაქციულ და თეთრგვარდიელთა ემიგრანტულ პრესას, რომელიც სულელური ჭორებს ავრცელებს სტრატოსტატის გაფრენის 24 სექტემბერს გადადების გამო. „საბჭოთა კავშირმა,—სწერს „ევრი“,—სასახელო ფურცელი ჩასწერა გუნების საიდუმლოებათა გამოცნობისათვის კაცობრიობის ბრძოლის ისტორიაში“.

„ერ ნუველ“ სწერს:

„საბჭოთა გაფრენის დიდმა წარმატებამ უნდა ჩაუფიქროს ყველა ის ვინც არასაკმაოდ აფასებს საბჭოთა კავშირის ენერგიულ მუშაობას ტექნიკურ და სამეცნიერო საქმიანობის დარგში. განა ამჟამად შეუძლია იმას, ვინც შეგნებულად არ ეწინააღმდეგება ფაქტებს, უარყოს საბჭოთა კავშირის მიერ ჩატარებული მუშაობის მნიშვნელობა?“.

„ზოცის“, „კოკუმინს“ და ინგლისურ გაზეთებს მოუყავთ ფაქტიური ცნობები საბჭოთა სტრატოსტატის ბრწყინვალე გაფრენის შესახებ. „კოკუმინი“ სათაურში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მფრინავებმა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარესო.

„ზოცის“ ინგლისური სპორტული ჟურნალი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ტექნიკა ამ დარგში ყველა სხვა ქვეყნის ტექნიკაზე მაღლა დგასო.

„ნიუს-ოიორკი, 1 ოქტომბერი. გაზეთები ვრცლად აქვეყნებენ ცნობას სტატოსფერაში საბჭოთა სტრატოსტატის წარმატებით გაფრენის შესახებ. საზღვაო სამინისტროს საავიაციო ბიუროს ფეროსმა კონტრ-ადმირალმა კინნმა განაცხადა: „საბჭოთა სტრატოსტატის გაფრენა „ბანსაციონალი“-ს. ამინდის ბიუროს მეცნიერები დიდ მნიშვნელობას აძლევენ გაფრენას. მათი სიტყვით, გამოკვლევის შედეგები შესაძლებლობას მოგვცემს გავარკვიო მეცნიერების ის მნიშვნელოვანი კითხვები, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ მსოფლიო საინჟინერო პრობლემის გადაჭრისათვისო (ადს).

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. ინგლისური, ავსტრიული, უნგრული და ლატვიური გაზეთები დაწვრილებით იუწყებიან საბჭოთა სტრატოსტატის გაფრენის ამბავს, აღნიშნავენ გაფრენის უდიდეს მნიშვნელობას და პიკარის რეკორდის გადამეტებას. აღნიშნავენ ფრენის არახანგრძლივობა მოწმობს, რომ გაფრენა ზედმიწევნით იყო მომზადებული და საბჭოთა სტრატოსტატი მაღალი ხარისხისაა. პილოტება, გაზეთების სტატიათ, დაამტკიცეს, რომ ისინი აკმაყოფილებენ მაღალ მოთხოვნებს. ლონდონის „ობსერვერის“ კორესპონდენტი რომელიც ჩამოვიდა კოლომნაში ავტომობილით ეუბნება სტრატოსტატის დაშვების მომენტში, ხაზს უსვამს იმას, რომ მასები აღფრთოვანებით შეხვდენ სტრატოსტატს, მიესალმენ ხა გაფრენას, როგორც სოციმშენებლობის გამარჯვებას (ადს).

ვულოცავთ სტრატოსფერის უბადლო გმირებს

მოსკოვი, 2 ოქტომბერი; სტრატოსტატ „სსრკ“ უფროსს ამხ. პროკოფიევს, მფრინავს ამხ. ბირნბაუმს, ინჟენერს ამხ. გოდუნოვს.

ვულოცავთ სტრატოსფერის უბადლო გმირებს საბჭოთა ხელისუფლების დავალების ბრწყინვალედ შესრულებას.

სტრატოსტატის შემქმნელ მუშებსა და კონსტრუქტორებთან ერთად, ფრენის, ორგანიზატორებთან ერთად თქვენ ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეთ საბჭოთა ავიაციის და სტრატოსფერის შესწავლის ისტორიაში; თქვენმა თავდადებულმა და წარმატებულმა მუშაობამ მკაფიოდ ცხადყო საბჭოთა ტექნიკის ახალი მიღწევები.

ჩვენ წინადადებას შეგვაძლს სსრკ-ს ცაკში ფრენის მონაწილეთა და ორგანიზატორების ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

სტალინი
მოლოტოვი
ვოროშილოვი
კაგანოვიჩი

***

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. აეშური - გლეხური წითელი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭო ამხ. ალქსნის.

კიევი; 1 ოქტომბერი. ელვა.

გთხოვთ გადასცეთ სტრატოსტატ „ს. ს. რ. კ.“ გმირ ეკიპაჟს ამხ. პროკოფიევს, ბირნბაუმს, გოდუნოვს ჩემი გულითადი მისალმება და მილოცვა მიღწეული განსაკუთრებული წარმატების, გამო.

გისურვებთ, ამხანაგებო, მხნეობას და ჯანმრთელობას ახალი გამარჯვებებისათვის.

ვოროშილოვი.

***

მხურვალე სალამი გამოუკვლეველი სიმაღლეების დამძლევთ, საბჭოთა სტრატოსტატ „ს. ს. რ. კ.“-ით სტრატოსფეროში პირველი გაფრენის გმირებს — პროკოფიევს, ბირნბაუმს, ინჟენერ გოდუნოვს.

სამეცნიერო დაკვირვებანი და გამოკვლევები, რომლებიც ჩატარეს ამ გადაფრენის უშიშარმამომწილეებმა, უეჭველად საშუალებას მოგვცემს საფუძველი ჩავუყაროთ სტრატოსფერის დაუფლებას.

ჟუკოვი.

***

მივესალმები ჩვენი საბჭოთა მფრინავების მიღწევებს. მათი მიღწევები — ეს მხოლოდ დასაწყისია სტრატოსფერის დაუფლების საქმეში. ეჭვი არ მეპარება, რომ უახლოეს მომავალში სტრატოსფერაში გაფრენა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცევა ჩვენში.

ახალი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგას ჩვენმა ავიაციამ, ის აა, რომ სტრატოსტატის შემდეგ კიდევ უფრო მეტი სიმაღლეების დაუფლება დაიწყოს ჰაეროპლანმა.

ბ. ი. კალინინი.

***

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს — ამხ. სტალინს;
საბჭ. კავშირის ცაკს — ამხ. კალინინს;
საბ. კავშირის სახკომსაბჭოს — ამხ. მოლოტოვს;

მე-29 წითელმოსროშოვანი ქარხნის მუშები და ინჟენერები დღეს ზეიმობენ ახალ საწარმოო და ტექნიკურ გამარჯვებას. ჩვენ მიერ დაპროექტებულმა და აგებულმა გონდოლამ საშუალება მისცა საბჭოთა პირველი სტრატოსტატის გმირ ეკიპაჟს მშვიდად და მხნედ მოეპოვებინა გამარჯვება სტრატოსფერაზე და დაემყარებინა მსოფლიო რეკორდი. ის, რაც მრავალი წლის განმავლობაში ვერ შესძლეს კაპიტალისტურმა ქვეყნებმა, შეს ძლეს დიდი საბჭოთა კავშირის ბოლშევიკებმა, მუშებმა და ინჟენერებმა, ბოლშევიკური პარტიის და მისი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით.

შემდეგშიაც ვიბრძოლებთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად.

ქარხნის დირექტორი — მარგოლინი.
გონდოლის კონსტრუქტორი — ჩიჟევსკი.
პარტკომი—ბალუზო.
ქარხკომი—ორლოვი.

საბჭოთა მფრინავებმა გადააჭარბეს ყველა რეკორდს

ვარშავა, 1 ოქტომბერი. პოლონეთის მთელი პრესა ათავსებს ვრცელ დეპეშებს მოსკოვიდან სტრატოსტატის გაფრენის შესახებ, და აღნიშნავს გაფრენის წარმატებას, აგრეთვე იმას, რომ საბჭოთა მფრინავებმა გადააჭარბეს ყველა რეკორდს, მათ შორის პიკარის მიერ შარშან დამყარებულ რეკორდსაც. (ადს).

ორი მსოფლიო რეკორდი

12 საათი 13 წუთი.

— ბალასტის დაწევის შემდეგ სიმაღლემ 18400 მეტრს მიაღწია. წევა ვერცხლის წყლის სვეტისა 51 მილიმეტრია. ბალასტის ჩამოყრის მექანიზმი კარგად მუშაობს. მართვის სარქველი წესრიგშია. გარსი მთლიანად გაბერებულია. გარსი ამედიჭინდან კარგად ჩანს. „გარსის შიგნობა სარქველის მახლობლად. ვესალმებით ქარხნების „კაუჩუკის“ და მენჟინსკის სახელობის № 39 მუშებს, რეზინტრესტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიას და სტრატოსტატის ამგებ ბიუროს, როგორც სტრატოსტატ „ს.ს.რ.კ.“-ს ორგანიზატორებს და მშენებლებს. მადლობას უცხადებთ მისალმებისათვის. სტრატოსფერაში საბჭოთა კავშირის მონაწილეებს. ეკიპაჟის განწყობილება კარგია. თქვენი რადიოგრამები უცვლელად მივიღეთ.

ესაა სტრატოსტატ „ს.ს.რ.კ.“-ის კომანდის რადიოცნობა. 12 საათსა და 45 წუთზე სტრატოსტატის კოშკი გადმოგვცემს, რომ იგი იმყოფება 19 კილომეტრის სიმაღლეზე. წამრთველი მოსკოვი, რომელსაც გუდრაყურა შემოდგომის ლაჟვარდოვანი ცისაკენ ჰქონდა მიპყრობილი და რომელიც სტრატოსტატის გაფრენას დაძაბვით აღევნებდა თვალყურს, აღტაცებით მიესალმა პროკოფიევის, გოდუნოვის და ბირნბაუმის გმირულ კომანდას, რომელმაც დაამყარა სტრატოსფერაში გაფრენის მსოფლიო რეკორდი. ცხრამეტი კილომეტრის სიმაღლე! ეს ბევრად აღემატება გამოჩენილი ბელგიელი ფიზიკოსის პიკარის მიღწევას, რომელიც როგორც ცნობილია, ორი წლის წინათ სტრატოსტატზე მხოლოდ 16,2 კილომეტრ სიმაღლეზე აფრინდა!

იმ დროს, როცა მოსკოველი მამაკაცები და დედაკაცები თვალყურს ადევნებდენ გმირულ გაფრენას. ამ დროს პოდოლსკის მხრიდან წითელ დედაქალაქს უახლოვდებოდა და ქალაქში შემოდიოდა მოსკოვ-ყარაყუმ—მოსკოვის გადარბენის ავტოკოლონა. გადარბენის გმირებს, რომელთაც საბჭოთა მანქანებით თითქმის 10 ათასი კილომეტრი მანძილი განვლეს, რომელთაც წარმატებით გადალახეს ყარაყუმის ქვიშიანი და ამ დარგში მსოფლიო რეკორდი დაამყარეს, ავრეთვე აღტაცებით ხვდებოდენ. პროლეტარული მოსკოვის სიმპატიები და აღტაცება იყოფოდა გაფრენის და გადარბენის მონაწილეთა შორის, ზევით და დაბლა სერვის დამმონებელთა შორის. ჩვენს ქვეყანაში და მის გადაღმა, ჩვენს მებრძოლ ამხანაგებსა და მეგობრებში გუშინდელი ამბები უდიდეს სიხარულს იწვევენ. ათეულობა ქარხნებმა და მუშათა, მუშა ქალთა, სპეციალისტთა და მეცნიერ მუშაკთა მილიონებმა შექმნეს ტექნიკური საშუალებანი, რომელთა შემწეობით გაიმართა საუზმე. დაესწრენ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ხელმძღვანელი შემადგენლობა.

თეირანი, 1 ოქტომბერი, 29 სექტემბერს ამხ. კარახანმა, ს.ს.რ.კ. სრულუფლებიანი წარმომადგენელმა ამხ: პასტუხოვის თანხლებით, ინახულა პრემიერი ფოროუგი, საგარეო საქმეთა მინისტრი ქაზემი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი სელი და მეჯლისის თავმჯდომარე.

სალამოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ამხ. კარახანის პატივსაცემად გაიმართა სადილი, რომელსაც დაესწრენ მთავრობა პრემიერ ფოროუგის მეთაურობით, სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. პასტუხოვი და სავაჭრო წარმომადგენელი ამხ. შესტაკი. საგარეო საქმეთა მინისტრმა ქაზემიმ ამხ. კარახანს მიულოცა სპარსეთში ჩასვლა და აღნიშნა: „ეყრდნობა რა ორი მეზობელი ქვეყნის დამკვიდრებულ მრავალ გარეგნებას, აგრეთვე აღმოსავლეთის ხალხთა მიმართ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა-სადმი ნდობას, სპასრეთი იყო ერთერთი პირველი იმ სახელმწიფოთა შორის, რომელმაც საბჭოთა ქვეყანასთან ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობა დაამყარეს. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება ახალი. ხალისიანი, სოციალისტური ცხოვრების შესაქმნელად, რაზედაც ოცნებობდენ, რისთვისაც იბრძოდენ და იღუპებოდენ ყველა დროის და ეპოქის საუკეთესო ადამიანები.

რას მოწმობს გუშინდელი ამბები? ჩვენი საავტომობილო და საავიაციო ქარხნების, მუშების, ინჟენერების და დირიჟტორების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შესანიშნავ მუშაობას და მაღალ კულტურას, მფრინავებისა და შოფერების საქმიანობას, თავდაბლობას და პირად ვაჟკაცობას. ჩვენ გვახარებს ის რომ სტრატოსტატი საშუალებას გვა ძლევს გამოვიკვლიოთ ჰაერის სივრცე და კოსმიური სხივები, რომლებიც შეიძლება გახდეს ძალთა ახალ წყაროდ, ბუნების სტიქიასთან საბრძოლველად. ავტომობილებმა გაიკაფეს ახალი გზები, ნახეს ახალი რაიონები და მოტორების ხმაურით აცნობეს სოფლებს, კოლმეურნეობებს, რესპუბლიკებს, ნაციონალურ რაიონებს, ოლქებს ტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლაში მოპოებული მოწინავე ინდუსტრიალური კულტურა. და ყველაფერი ეს იმისათვის, რომ გვქონდეს უფრო მეტი პური, ბოსტნეული და ხილი, ახალი დასახლებული პუნქტები, ქალაქები, საცხოვრებელი, სახლები, გზები სკოლები, თეატრები, კინოები, ბიბლიოთეკები და მდელოები, ყვავილები და მზე საბჭოთა კავშირის ბატონ პატრონებისათვის მუშებისა და კოლმეურნეებისათვის. ამიტომ ახალ დიდი საქმის წარმატება და გამარჯვება ჩვენი ქვეყნის ხალხს სიამაყით აღავსებს და აღაფრთოვანებს. ვინაიდან მან იცის და გრძნობს, რომ ეს მისი მშობლიური, უაღრესად, ახლობელი საქმეა.

სტრატოსფერაში გაფრენას, მოსკოვ-ყარაყუმ—მოსკოვის გადარბენას და სხვა მორიგ საავტომობილო გადარბენებს, რომლებიც უკანასკნელ დროს ჩატარდა, ერთი და იგივე წყარო გააჩნიათ: საბჭოთა კავშირის და სოციალისტური მრეწველობის მზარდი დიადი სიძლიერე და იმ ქვეყნის ადამიანების შემოქმედებითი ძალების კოლოსალური გაშლა, რომელმაც სამუდამოდ დაამსხვრია კაპიტალისტური ექსპლოატაციის უღელი. რა შორს წავსულვართ. ბზუირობისა, სპშუალო საუკუნეებრიობისა და მეფეების ჩამორჩენილი იმპერიისაგან, თუ ჩვენი საკუთარი მატერიალური და ტექნიკური საშუალებებით ვბედავთ ასეთი ამოცანების გადაჭრას, თუ ჩვენ შეგვიძლია ისეთი რამეების შექმნა, რაც ჩვენი ქვეყნისაკენ მოაპყრობს მთელი მსოფლიოს ყურადღებას.

ახალი სასიცოცხლო წვენით ივსება ჩვენი ქვეყანა. ერთი მეორეზე სწყვეტს იგი დიად პრობლემებს.

არქტიკა და თეორ-ბალტიის ზღვების არხი, ახალი ნავთიანი რაიონების ათვისება, სტრატოსფერაში გაფრენა მოსკ.-ყარაყუმ-მოსკოვის გადარბენა — ყოველივე ეს ერთნაირი ხასიათის პრობლემებია, რომლებიც წყდება იმის შემწეობით, რომ ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატია, იმის შემწეობით რომ მას მეთაურობს და ხელმძღვანელობს კომპარტია, გმირული მუშათა კლასი, კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი და მისი ბელადი ხელმძღვანელი ამხ. სტალინი—აი ისტორიის მოტორი, აი მძლავრი ბერკეტი, რომელსაც მოძრაობაში მოყავს ქვეყნის წარმოებითი ძალების და სიმდიდრის განვითარება.

პროლეტარიატმა დაანგრია და ახლაც ანგრევს კაპიტალისტურ საზოგადოებას, რომ მის ადგილზე სოციალისტური საზოგადოება ააშენოს. საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებამ გვიჩვენა, თუ რა შეუძლია არაოლეტარიატს, რა შემოქმედებითი ენტუზიაზმით აღინთება იგი, როცა დაამხობს, ბურჟუაზიას და ხელისუფლების, სათავეში მოექცევა. ბურჟუაზია თავისი ბატონობის მიწურულში იმასაც კი ანგრევს, რაც კაპიტალიზმმა საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნა. გიგანტი ბურჟუაზიასთან ერთად გასული საუკუნის დამდეგს ოცნებობდა წარმოებითი ძალების ისეთ გაშლაზე, რასაც დედამიწა ყველა ტანჯვისაგან უნდა განეკურნა. მისმა ფაუსტმა სიკვდილის წინ, ხანგრძლივი წამების შემდეგ, ბოლოსდაბოლოს ჰპოვა სიცოცხლის მიზანი. მან ააგო ჯგუფი.

„როგორ აამებს ყურთა სმენას
ბათა ჰახუნი,
აქ მთელი ხალხი ჩემს განზრახულს ახორციელებს.
იგი ზღვარს უდებს ზღვის ტალღებს,
თავისვე თავთან დედამიწას შემოარიგებს.
და წყნარსა ჰყოფს იმავე ზღვას თაეის წინაშე“.

ასეთი იყო ოცნება კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე, მაგრამ ეს იყო ექსპლოატატორების მშენებლობა, მშრომელთა ძვლებზე დაყრდნობილი მშენებლობა. ამ ჯგუფის ფუძეს აცილიან და ანგრევენ, კლასობრივი ბრძოლა და რევოლუცია. ამ ჯგუფის, საუკუნოების მიერ შექმნილ ამ კულტურას სპობს თითონ ბურჟუაზია თავისი ბატონობის შენარჩუნებისათვის გააფთრებულ ბრძოლაში. ახლა ფაუსტის ფაშისტური მემკვიდრეები ხმარობენ არა ბარებს, არამედ უფრო სრულყოფილ იარაღებს, რათა თხრილები შემოავლონ იმ საკონცენტრაციო ბანაკებს, სადაც ცდილობენ მოსპონ პროლეტარიატის — საზოგადოების ამ მთავარი მწარმოებელი ძალის საუკეთესო წარმომადგენლები, ახლა მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებში მძვინვარებს, განწირულებს გაშმაგებით სპობს მწარმოებელ ძალებს და ტექნიკას. წარმოების ყველა მრუდი დაბლა ეშვება, განადგურების, წარმოების, ცეცხლწაკიდების, სიკვდილის და ომის მრუდის გამოკლებით.

ჩვენს ხანაში, პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში, კაპიტალიზმის დაქვეითების ეპოქაში, მხოლოდ პროლეტარიატი და მხოლოდ მისი კომპარტია ერთადერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია განავითაროს მწარმოებელი ძალები, შეუძლია, განათავისუფლოს ისინი კაპიტალიზმის უღლისაგან. ამას გვეუბნება რევოლუციური ბრძოლის და სოციალისტური მშენებლობის 16 წლის გამოცდილება. ამას მოწმობს ოგრეთვე გუშინდელი ამბები.

სტრატოსტატის „ს.ს.რ.კ.“-ის გაფრენა და ყარაყუმის დიდი გადარბენა საბჭოთა კავშირის ზრდის და ძლიერების ახალი მაჩვენებლებია, იმის ახალი მაჩვენებლებია, რომ პროლეტარიატი წარმატებით ეუფლება მეცნიერების და ტექნიკის მწვერვალებს. მაგრამ წინ კიდევ დიდი გზა გვიძევს. განხორციელება ამხ. სტალინის ლოზუნგისა—ტექნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში ყველაფერს წყვიტს—ჯერ კიდევ ხანგრძლივ და შეუპოვარ ბრძოლას მოითხოვს. თავბრუ კი არ უნდა დაგვესხას, არამედ უნდა ვისწავლოთ, და კიდევ ვისწავლოთ. გავწიოთ წინ ისე, როგორც ეს შეეფერება რევოლუციურ კლასს, რომლის წინაშე დიადი ისტორიული ამოცანები დგას.

(„პრავდას“ 2 ოქტ. მოწინავე).

ამხ. კარახანი თეირანში

თეირანი, 29 სექტემბერი. ყაზვინში გაჩერების შემდეგ, სადაც გუბერნატორმა ამხ. კარახანის პატივსაცემად სადილი გამართა, ამხ. კარახანი, სპარსეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელის ამხ. პასტუხოვის და სპარსეთის მთავრობის წარმომადგენლის თანხლებით, ჩამოვიდა თეირანში. ქალაქში შესვლის წინ, ქალაქის ალა ყაფის კარებთან, ამხ. კარახანს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. შეხვედრაში მონაწილეობას ღებულობდენ საგარეო საქმეთა მინისტრი ქაზები, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი სელი და მეჯლისის თავმჯდომარე. ამიტომ მას შეუძლია თავი საბჭოთა კავშირის უძველეს მეგობრად მიიჩნიოს“. აღნიშნა რა სპარსეთში ამხ. კარახანის ჩასვლა, როგორც საბჭოთა კავშირის ყურადღების და მეგობრობის ახალგამოხატულება, ქაზემიმ იმედი გამოსთქვა, რომ ეს შეხვედრა ხელს შეუწყობს საბჭოთა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებას და ეკონომიური და სავაჭრო დამოკიდებულების უფრო გაღრმავებას და განვითარებას. ამხ. კარახანმა, გამოთქვა რა კმაყოფილება საბჭოთა კავშირის და სპარსეთის მეგობრობის ურთიერთობის აღდგენით გამოიჩინა საერთაშორისო ვითარების გაგება და სპარსეთის ნაციონალური ინტერესების მართებული გაგება“. საკმარისია გავიხსენოთ, — განაგრძობს ამხ. კარახანი,—რომ ამ ნაბიჯის შედეგი იყო საბჭოთა კავშირის და სპარსეთის ხელშეკრულება და მთელი რიგი სხვა აქტები, რომელნიც უზრუნველყოფდენ სპარსეთის სახელმწიფოს დამოუკიდებელი ნაციონალური განვითარების შესაძლებლობას.

ამხ. კარახანმა აღნიშნა, რომ სპარსეთის დამოუკიდებელი განვითარება მეტწილად იმით აიხსნება, რომ მეფის რუსეთის ნაცვლად სპარსეთს ჩრდილოეთ. უშუალო მეზობლად საბჭოთა კავშირი ჰყავს, და განაცხადა: „საბჭოთა კავშირი სპარსეთს არა მარტო ყველაზე სამეფო მეგობარია. ეს რამე კონიუნქტურული გარემოებით კი არ აიხსნება, არამედ გამომდინარეობს როგორც საბჭოთა ხელისუფლების ბუნებიდან, ისე იმ ნაციონალური პოლიტიკის საფუძვლებიდან, რომელსაც საბჭოთა კავშირი ქვეყნის შიგნით ანხორციელებს და აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ მისი პოლიტიკიდან“.

სადილობისას პრემიერმა ფოროუგიმ, საგარეო საქმეთა მინიტრმა კაზემიმ და ამხ. კარახანმა წარმოსთქვეს ამხ. სტალინისა და რიზა-შაჰის სადეგრძელო.

30 სექტემბერს ამხ. კარახანი ამხ. პასტუხოვის თანხლებით მიღებულ იქნა შაჰის მიერ (ადს).

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წყნოგა

30 სექტემბერს ბერლინიდან გამოემგზავრენ გამოწვეული საბჭოთა ჟურნალისტები: საკავშირო დეპეშათა საագენტოს წარმომადგენელი ამხ. ბესპალოვი, „იზვესტიას“ წარმომადგენელი ამხ. კაიტი და „პრავდა“-ს წარმომადგენელი ამხ. ჩერნიაკი.

იმავე დღეს მოსკოვიდან გაემგზავრენ გერმანელი ჟურნალისტები, რომელებსაც წინადადება მიეცათ გერმანიიდან საბჭოთა კავშირის ჟურნალისტების გამოწვევასთან დაკავშირებით, დასტოვონ საბჭოთა კავშირი; წავიდენ: გაზეთ „ქელნიშე ცეიტუნგის“ წარმომადგენელი (გვარი დამახინჯებულია), „ბერლინერ ტაგებლატის“ წარმომადგენელი გერშტადტი, „ლოკალ ანცეიგერის“ წარმომადგენელი ჰერბინგი. რაც შეეხება ვოლფის დეპეშათა საագენტოს წარმომადგენელს ბაუმს, მან ხელი აიღო ვოლფის საագენტოს კორესპონდენტის მოვალეობათა შესრულებაზე, ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე და ამიერიდან, გერმანიის საელჩოს ცნობის თანახმად, რჩება მოსკოვში მხოლოდ და მხოლოდ როგორც ამ საელჩოს თანამშრომელი. (ადს).

საბჭოთა ავტო-მანქანებმა განვლეს 9500 კილომეტრი

ბრწყინვალედ დამთავრდა მოსკოვ-ყარაყუმის ავტო-გადარბენა

გადარბენის მონაწილენი ჩავიდა მოსკოვში

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. 30 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ყარაყუმის გადარბენის ავტოკოლონა. პოდოლსკში გადარჩეულებთან შესახვედრად ჩავიდა მოსკოვის, პოდოლსკის და ოლქის სხვა ქარხნების დელეგაციები. ყარაყუმელებს შეხვდენ „ვაშას“ ძახილით.

მიტინგზე ავტოგადარბენის გმირებს ესალმება პოდოლსკის საქალაქო პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. აგარკოვი, ავტოგზას ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ფედოტოვი და მოსკოვის ავტოკლუბის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ურალოვი. ტაშისცემით ხვდებიან სტალინის სახელობის ავტომანქანის დირექტორს ამხ. ლიხაჩევს და გორკის საავტომბილო ქარხნის დირექტორის მოადგილეს ამხ. ბარიშევს.

გადარბენის ვიცე-კომანდირმა ამხ. კაბუკაძემ მოკლე სიტყვაში მადლობა გადაუხადა შეხვედრისათვის. გადარბენის ხელმძღვანელობა კომიტეტის წარმომადგენელი —რევოლუციურ სამხედრო საბჭოს წევრი —ამხ. ხალეპსკი ყარაყუმის გამარჯვებულებს მიმართავს პროლეტარული „ვაშათი“, ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს“.

მე-16 კილომეტრზე ტექნიკური ფინიშია. მოკლე სიტყვებით გამოდიან ამხ. ხალეპსკი, ოსინსკაია, ემელიან იაროსლავსკი და რიზოვსკი. ასინი აღნიშნავენ გადარბენის უდიდეს მნიშვნელობას და მანქანების წარმოებით მასალისაგან. მიღწეულია სიმაღლე 19 კილომეტრი.

მე განცვიფრებული ვარ სტრატოსტატის ხელმძღვანელთა უჩვეულო გამძლეობით და იმ მკაფიობით, რომლებმაც შეასრულეს ამოცანა თითქმის ზუსტი განრიგის მიხედვით. ჩვენ ყველანი უნდა ვამაყობდეთ საბჭოთა ჰაერონავტების და საბჭოთა მეცნიერების ამ დღესასწაულით“. (ადს).

საბჭოთა კავშირმა სასახელო ფურცელი ჩასწერა

გუნების საიდუმლოებათა გამოცნობისათვის კაცობრიობის ბრძოლის ისტორიაში

პარიზი, 1 ოქტომბერი. მთელი პრესა იუწყება საბჭოთა სტრატოსტატის წარმატებით დაშვების ამბავს. „ევრი“ სწერს: სტრატოსტატის გაფრენამ ცხადყო, რომ ხუთწლედის შესრულებამ მართლაც შესაძლებელობა მისცა საბჭოთა კავშირს დაეწიოს და გაუსწროს კაპიტალისტურ ქვეყნებსო, გაზეთი დასცინის რეაქციულ და თეთრგვარდიელთა ემიგრანტულ პრესას, რომელიც სულელურ ჭორებს ავრცელებს სტრატოსტატის გაფრენის 24 სექტემბერს გადადების გამო. „საბჭოთა კავშირმა,—სწერს „ევრი“,—სასახელო ფურცელი ჩასწერა გუნების საიდუმლოებათა გამოცნობისათვის კაცობრიობის ბრძოლის ისტორიაში“.

„ერ ნუველ“ სწერს:

„საბჭოთა გაფრენის დიდმა წარმატებამ უნდა ჩაუფიქროს ყველა ის ვინც არასაკმაოდ აფასებს საბჭოთა კავშირის ენერგიულ მუშაობას ტექნიკურ და სამეცნიერო საქმიანობის დარგში. განა ამჟამად შეუძლია იმას, ვინც შეგნებულად არ ეწინააღმდეგება ფაქტებს, უარყოს საბჭოთა კავშირის მიერ ჩატარებული მუშაობის მნიშვნელობა?“.

„ზოცის“, „კოკუმინს“ და ინგლისურ გაზეთებს მოუყავთ ფაქტიური ცნობები საბჭოთა სტრატოსტატის ბრწყინვალე გაფრენის შესახებ. „კოკუმინი“ სათაურში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მფრინავებმა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარესო.

„ზოცის“ ინგლისური სპორტული ჟურნალი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ტექნიკა ამ დარგში ყველა სხვა ქვეყნის ტექნიკაზე მაღლა დგასო.

„ნიუს-იორკი, 1 ოქტომბერი. გაზეთები ვრცლად აქვეყნებენ ცნობას სტატოსფერაში საბჭოთა სტრატოსტატის წარმატებით გაფრენის შესახებ. საზღვაო სამინისტროს საავიაციო ბიუროს ფეროსმა კონტრ-ადმირალმა კინნმა განაცხადა: „საბჭოთ

რკინისგზის ტრანსპორტმა უნდა იმუშაოს საათის მექანიზმივით

პურის მეუფერხებლად გადაზიდვა-ტრანსპორტის ცენტრალური ამოცანაა

ძირეულმა პრესამ და მუშკორებმა უნდა იბრძოლონ ტრანსპორტზე რკინისებური დისციპლინის დანერგვისათვის

რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის გარდაქმნა და ძირეული პრესის და მუშკორების ამოცანები

ა.-კ. რკინის გზის მე-2 საექსპლოატაციო რაიონის პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. ილ. ჟორჟოლაძის სიტყვიდან ტფილისის კვანძის ძირეული პრესის მუშაკთა და მუშკორების შეკრებაზე

ა-კ. რკ. გზის მე-2 საექსპლოატაციო რაიონის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ილ. ჟორჟოლაძე

1 ოქტომბერს, გაზ. „კომუნისტის“ და ამიერ-კავკ. რკ. გზ. რაიონის პოლიტგანყოფილების მიერ მოწვეულ ტფილისის კვანძის ძირეული პრესის მუშაკთა და მუშკორების შეკრებაზე, რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის გაჯანსაღების და ამ საქმეში ძირეული პრესის და მუშკორების ამოცანების საკითხზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა რაიონის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ილ. ჟორჟოლაძე.

— როდესაც პრესისა და მუშკორების, როგორც მასების ორგანიზატორების ამოცანების შესახებ ვლაპარაკობთ, — ამბობს მომხსენებელი,—აუცილებლად საჭიროა უფრაღდების გამახვილება იმ ძირითად ამოცანებზე, რომელნიც წამოაყენეს თავის ისტორიულ დადგენილებებში საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და საკ. სახკომსაბჭომ.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ. და საკ. სახკომსაბჭო თავის დადგენილებებში რკ. გზის ტრანსპორტის შესახებ აღნიშნავდენ:

„ტრანსპორტზე მუშაობის ორგანიზაცია და რკინისებური დისციპლინის შემოღება დიდათ ჩამორჩება არა მარტო სამხედრო ორგანიზაციებს, არამედ მრეწველობის მთელ რიგ დარგებს. თითქმის ცხადია, რომ ამ პირობებში რკინის გზებზე მომუშავეს პარტიულ ორგანიზაციებს და კომკავშირ - მუშაკებს უნდა გამოეჩინათ კლასობრივი სიფხიზლე კლასობრივად უცხო ელემენტების წარმატებით მხილებისათვის და მათთან საბრძოლველად. თითქმის ცხადია, რომ პარტ.-ორგანიზაციებს უნდა გაეძლიერებინათ პარტ.-მას. მუშაობა სიძნელეებისა და დამკვრელობის და დამკვრელობის ნაწილობრივ საშიშთანაგრძნობელად, დისციპლინის და ტრანსპორტის მუშაკთა საბრძოლო ხაზის ასამაღლებლად.

სრულდება თუ არა ც. კ-ის და სახკომსაბჭოს ეს ძირითადი მითითება ამიერ-კავკ. რკ. გზ. მეორე რაიონში და მის გადამწყვეტ კვანძებში—ნავთლუღისა, ტფილისსა და სტალინირში?

თვალის ახვევის ფაქტები, რომ მელუაც გაზ. „ელექტროფიკაციისათვის“ ვერ ამჩნევს

ს ა რ ა ი ო ნო გაზეთი „ელექტროფიკაციისათვის“ თავის ა.-წ. 27 სექტემბრის ნომერში წუწუნებს: სადგ. ნავთლუღმა უსათუოდ გადდემნა მუშაობა ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილებათა საფუძველზე, მოხდა დიდი გარდატეხა. ვხედავთ თუ არა რაიმე მსგავსს არამარტო ნავთლუღში, არამედ მთელს მეორე რაიონში.

არა, მიემართოთ ფაქტებს.

სადგ. ნავთლუღში მარცხები და ავარიები არამც თუ კლებულობს, არამედ იზრდება. სადგური ყოველდღიურად იძლევა თვალის ახვევ ცნობებს მის ლიანდაგებზე მდგომ თავისუფალი ვაგონების რაოდენობის შესახებ 22 სექტემბერს მომხდარი ავწერით გამოირკვა, რომ სადგურმა გადახალა 218 ვაგონი, ამასთან ერთად იძლევიან უკლებ ცნობებს დატვირთული ვაგონების რაოდენობის შესახებაც. მაგ. 22 სექტემბერს სადისპეტჩერო ჟურნალში ნაჩვენებია, მატ. № 1302-ი გაგზავნილია 37 დატვირთული ვაგონით. არსებითად კი გაუგზავნიათ მხოლოდ 20 ვაგონი. მატ. № 871-ი ნაჩვენებია გაგზავნილად 44 დატვირთული ვაგონი, ფაქტიურად კი გაუგზავნიათ—26. მატ. № 1336-ი უნობალში ნაჩვენებ 50 ვაგონის ნაცვლად გაუგზავნიათ მხოლოდ—16 და ა. შ.

ვაგონების გაჩერება დასატვირთავად ყოველთვის აღემატება დაწესებულ ნორმას. 23 სექტემბერს 34 ვაგონი გაიჩერებოდა 2—7 საათამდე.

სადგ. ნავთლუღში სისტემატიურად ხელს უშლის სარემონტოდ ვაგონების გაგზავნის საქმეს. 22 ავადმყოფი ვაგონი გაჩერებული იყო 13 დღის განმავლობაში.

ამ ნაკლოვანებათა მიზეზი, ჩვენის აზრით, ის არის, რომ სადგურის ხელმძღვანელობა ამ საკითხებს სათანადო ყურადღებას არ აქცევს. ამ ნაკლოვანებათა მიზეზი ისიც არის, რომ სადგურის ხელმძღვანელობა ამ საკითხებს სათანადო ყურადღებას არ აქცევს. ამ ნაკლოვანებათა მიზეზი ისიც არის, რომ სადგურის ხელმძღვანელობა ამ საკითხებს სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

პარტიული მშენებლობა

„პარტია პოლიტგანყოფილებების ამოცანად სცნობს გააუმჯობესონ სოფლის კომუნისტების და კოლმეურნეების მუშაობა, აამაღლონ მათი შეგნება, შექმნან უპარტიო აქტივი“ (ქაგანოვიჩი)

როგორ გახდა მოფინავე საკოსა და ვანცეტის სახ. კოლმეურნეობა

(ახალქალაქი, „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ახალქალაქის სამ.-სატ. სადგურის მომსახურეობაში შემავალმა 26 კოლმეურნეობამ 5747 ჰექტარზე პურეულის მოსავლის აღება 15 სექტემბერს დაამთავრა. კოლმეურნეობებმა ვადამდე ადრე შეასრულეს პურის ჩაბარების წლიური გეგმა. უახლოეს დღეებში დამთავრდება ლეწვაც.

კოლმეურნეობების სამეურნეოორგანიზაციულ და პოლიტიკური განმტკიცების დარგში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოებული. გასულ წელთან შედარებით წელს ერთი-სამად გაიზარდა კოლმეურნეობის მოსავალი; ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ კოლმეურნეები დაადგნენ შეძლებული ცხოვრების გზას.

სოფ. ტურციხის **საკოსა და ვანცეტის** სახ. კოლმეურნეობა, რომელიც გასულ წელს ყოველმხრივ ჩამორჩენილად ითვლებოდა, გამოვიდა მოწინავეთა რიგებში. მოსავლის აღება 100 ჰექტარზე ვადამდე 9 დღით ადრე დაამთავრა, მთლიანად შეასრულა სახელმწიფოს ვალდებულება პურის ჩაბარების დარგში, დროზე გადაუხადა სამ.-სატრ. სადგურს ნატურანაზღაურება. **კოლმეურნეობამ ერთ ჰექტარიდან მიიღო 12 ცენტნერი ხორბალი ნაცვლად გეგმით დაწესებულ 8 ცენტნერისა, ქერი კი 25 ცენტნერი ჰექტარიდან 18-ის ნაცვლად.**

შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი კოლმეურნეობები, რომელთაც წელს მეტი რაოდენობის და უკეთესი ხარისხის მოსავალი მიიღეს. მათ ოცესს ეკუთვნიან სოფ. დილისკარის, ჩანდურას და სხვა კოლმეურნეობები.

კოლმეურნეობებმა ეს წარმატებები მოიპოვეს სამ.-სატრ. სადგურის პოლიტ - განყოფილების კონკრეტული ხელმძღვანელობითა და უშუალო დახმარებით.

საკოლმეურნეო ბრიგადების სწორად მოწყობა, მოსავლის აღება-გალეწვის ორგანიზებულად ჩატარება, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლება საკოლმეურნეო წარმოებაში, მუშაობის მთელი სიმძიმის ცენტრის გადატანა მინდვრად ბრიგადებში, ჯგუფებში — თავდადებული გადაიქცა პოლიტგანყოფილების საბრძოლო ამოცანად.

საკოლმეურნეო პარტუჯრედის მდივნები მუშაობის გათავების შემდეგ ყოველ საღამოს იწვევდენ პარტორგების თათბირებს, სადაც იხილავდენ ჩატარებული მუშაობის შედეგებს და საბავდენ პრაქტიკულ ღონისძიებებს შემდეგი დღისათვის.

